

შპს „ამიგას“ ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფინანსური ინფორმაცია

შპს ამიგა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2021	31.12.2022
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტი	26804	8570
სავაჭრო მოთხოვნები	771 214	906 895
გადახდილი ავანსები	501 990	394 210
მარაგები	1 372 423	2 141 546
სხვა მიმდინარე აქტივები	702 594	846 087
არამატერიალური აქტივები	870	696
ძირითადი საშუალებები	4881	4920
სულ აქტივები	3 380 776	4 302 924
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	129 356	338 893
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2 406 075	3 392 264
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები		3 731 157

სულ ვალდებულებები	2 535 431	3 731 157
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	845 345	571 767
სულ საკუთარი კაპიტალი	845 345	571 767
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 380 776	4 302 924

შპს „ამიგა“-ს დირექტორი



გურამ ოდიშარია

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	31.12.2021	31.12.2022
ამონაგები	8 725 252	929 748
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	8 725 252	929 748
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	- 7 345 420	- 602 455
გაყიდვების თვითღირებულება	- 7 345 420	- 602 455
საერთო მოგება	1 379 832	327 293
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 281 772	- 227 187
იჯარა	- 23 472	- 21 632
ცვეთა და ამორტიზაცია	- 1 336	- 1323
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 46 846	- 7804
სულ საოპერაციო ხარჯები	- 353 426	- 257 946
საოპერაციო მოგება	1 026 406	69 347

წმინდა შემოსულობა (დანაკარგი)		
სავალუტო ოპერაციებიდან	- 68 588	- 4265
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	957 818	65 082
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	- 2504	- 34 660
მოგება/(ზარალი)	955 314	30 422
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	955 314	30 422
 კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	484 031	845 345
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	- 344 000	- 304 000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-250 000	
საკუთარი კაპიტალი	845 345	571 767
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

შპს „ამიგა“-ს დირექტორი



გურამ ოდიშარია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31.12.2021	31.12.2022
საკუთარი კაპიტალი ს საწყისი ნაშთი	484 031	845 345
პერიოდის მოგება/(ზარალი)	955 314	30 422
დივიდენდის გაცემა	-344 000	-304 000
საწესდებო კაპიტალი	- 250 000	
სულ კაპიტალი	845 345	571 767

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	- 18234
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-18234
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	26804
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	8570

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამიგა“, (შემდგომში კომპანია), დაარსდა 12.01.2009 წ. . დღე-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 05.02.2009 წ. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებლები არიან საქართველოს მოქალაქეები ფიზიკური პირები:

- ოთარ ოდიშარია - 50 % წილის მფლობელი;
 - ვახტანგ მაზანიშვილი - 50 % წილის მფლობელი;
- კომპანიის დირექტორი - გურამ ოდიშარია.

ძირითადი საქმიანობა:

კომპანია ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს :

1. სამრეწველო ტექნიკის და მოწყობილობების დაყენება,
2. მანქანებისა და მოწყობილობების რემონტი,
3. გამაცივებელი და ვენტელაციური დანადგარების წარმოება, საყოფაცხოვრებო დანიშნულების გარდა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა:

საქართველო, თბილისი, ერისთავის, 2.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინანდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) შესაბამისად და იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

უწყვეტი საწარმო

წინანდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები რეალიზაციიდან ან/და მომსახურების გაწევიდან აღიარდება, როდესაც :

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მოცემულ ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციებთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების განსაზღვრა;
- შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით;
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმომოხილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 10 -20 %
ოფისის აღჭურვილობა	- 10-20 %
კომპიუტერული ტექნიკა	- 10 – 20 %
სხვა	- 15 %.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე ძვირადღირებული ძირითადი საშუალებები, მის ქონებას წარმოადგენს საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მოწყობილობები, დანადგარები, კომპიუტერული ტექნიკა, ოფისის ავეჯი და სხვა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

დივიდენდი.

კომპანიის შესაძლებლობა გამოცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში, როგორც დივიდენდის ნაწილი.

ფული და ფულის ეკვივალენტი

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

იჯარა

კომპანიას არ გააჩნია მიწა და შენობა-ნაგებობები და თავის საქმიანობას აწარმოებს იჯარით აღებული ფართზე (მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულებით). აგრეთვე კომპანიას არ გააჩნია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები და სარგებლობს ფიზიკური პირებისგან იჯარით აღებული მანქანებით (გადახდილი საიჯარო თანხა იბეგრება შემოსავლის წყაროსთან).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახდო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

მომსახურებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვის თანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

- მცირე ფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემის თანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვის თანავე მიეკუთვნება კომპიუტერულ ხარჯებს.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს სპეც. ანგარიშ-ფაქტურებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები, შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებში და აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

2019 წ. 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2 % საპენსიო ფონდში გადახდის თაობაზე და 2018 წლის 27 ივლისის მთავრობის # 381 დადგენილებით თანამშრომლების სავალდებულო დაზღვევის ვალდებულება.

გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

დაბეგვრა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა იბეგრება სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა საოპერაციო ხარჯების“ და „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი“ მუხლებში, შესაბამისად. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. კომპანია თავის საქმიანობას ძირითადად ახორციელებს მიღებული ავანსებით, რომელზეც ოპერაციის თვეს იწერება ავანსის ანგარიშ-ფაქტურა და შემდგომში, როცა ხდება სამუშაოს შესრულება გადასახდელ დღგ-ს აკლდება მიღებულ ავანსებზე გადახდილი დღგ. სააგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია, რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით..

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი

საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალი ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებულია შემდეგი კურსი:

	2021 31.12	2022 31.12
დოლარი	2,8677	2,7020
ევრო	3,2095	2,844

3. მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1 372 423	2 141 546
სულ მარაგი	1 372 423	2 141 546

4. ფული და ფულის ეკვივალენტი

2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტი მოიცავს შემდეგს:

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ფული და ფულის ეკვივალენტი	26804	8570
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	26804	8570

5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და გადახდილი ავანსები

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
------------	------------	------------

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	771 214	906 895
გადახდილი ავანსები	501 990	394 210
სულ დებიტორელი დავალიანება	1 273 204	1301 105

6. საგადასახადო ვალდებულებები.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 227 739 ლარი. 31.12.2022 წ. კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულება.

6. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და ასაგაქრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
მიღებული ავანსები	2 406 075	3 392 264
საგაქრო ვალდებულებები	129 356	338 893
სულ დავალიანება	2 535 431	3 731 157

7. შემოსავალი

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შემოსავლები შედგებოდა:

დასახელება	2021 წ.	2022 წ.
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8 725 252	929 748

სულ შემოსავალი	8 725 252	929 748
----------------	-----------	---------

8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ შეადგინა - 602 455 ლარი, რაც თავის მხრივ შეიცავს საქონლის შეძენის, მისი ტრანსპორტირების, განაწილების, შენახვის (და სხვა დაკავშირებულ) ხარჯებს.

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

კომუნიკაციის ხარჯი	341
საკანცელარიო ხარჯი	120
საბანკო ხარჯი	3208
დაზღვევა	231
საპენსიო შენატანი	2604
სხვა საოპერაციო ხარჯი	1300

სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები - 7804 ლარი.

10. იჯარის ხარჯი

2022 წ. 31 დეკემბრისთვის იჯარის ხარჯმა შეადგინა:

ოფისის იჯარა - 17257 ლარი

მანქანის იჯარა - 4375 ლარი

სულ იჯარის ხარჯი - 21 632 ლარი.

11. დასაქმებულთა ანაზღაურება

2022 წ. დასაქმებულთა ანაზღაურებამ შეადგინა - 227 187 ლარი. კომპანიის დამფუძნებლები ამავედროულად არიან დაქირავებული პირები და კომპანიაში იღებენ ხელფასს. 2022 წელს დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდის თანხა შეადგინა 304 000 ლარი.

12. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ეწრთად.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 17 სექტემბერს კომპანიის დამფუძნებლების კრებაზე განხილული იქნა და დამტკიცებული 2022 წლის საქმიანობის შედეგები.

შპს „ამიგა“-ს დირექტორი



[Handwritten signature] გურამ ოდიშარია